საქართ. მუშარც. სოც.-დემ. სარევ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. წრინტრით
4 „ 50,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

მთავარ კომიტეტის ორგანო

№ 433 პარასკევი, მარტის 30 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

## კიდევ საბაჟო სისტემაზედ

გუშინდელ მეთაურში ჩვენ აღვნიშნეთ ის უარყოფითი შედეგი, რომელიც მოჰყვა უხეირო საბაჟო პოლიტიკას. ესაა ფაბრიკატებზედ ფასების უზომო გადიდება მაშინ, როცა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზედ შედარებით მცირე ფასები დარჩა. ასეთი მდგომარეობა აუტანელი არის გლეხისა და მისი მეურნეობისათვის, მას განადგურება მოელის. მაშასადამე, რად გინდათ ფაბრიკატები? ვინ უნდა შეიძინოს ის? ასეთი საბაჟო სისტემა ანადგურებს მომხმარებელს და ამით ინდუსტრიასაც, მაშასადამე აღწევს დასახული მიზნის წინაალმდეგ შედეგს. ეს ემჩნევა ყველგან, ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში, მთელი ფედერაციის სივრცეზედ. ამას დროზედ უნდა შეგნება და გამოსწორება. წინაალმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება ქალაქსა და სოფელს შუა მჭიდრო კავშირი, შეუძლებელი იქნება თვით ინდუსტრიის განვითარება.

დღეს გვინდა აღვნიშნოთ—ეხლანდელი საბაჟო სისტემის მეორე უარყოფითი მხარე—რუსეთის და განაპირა ქვეყნების ერთი მეორისადმი ეკონომიურად დაპირისპირება.

ავიღოთ მაგალითისათვის ამიერ-კავკასია. აქ ინდუსტრია არ არის. ამიტომ ფაბრიკატებზედ ფასების ზრდა ამიერ-კავკასიისათვის დიდად საზარალოა. ამიერ-კავკასია დაინტერესებულია რაც შეიძლება იაფად იშოვოს ფაბრიკატები და ძვირად გაასაღოს ნედლეულობა. არსებული საბაჟო სისტემა კი წინაალმდეგ მიზანს ისახავს: აძვირებს ფაბრიკატებს და ნედლეულობის გატანა კი სულ აკრძალულია. ის რუსეთს უნდა მიჰყიდონ. მაგ. პარკი, ბამბა, მატყლი და სხვა. ამიერ-კავკასიას უფრო ძვირად შეუძლია გაასაღოს თავის ნედლეული უცხოეთში და უფრო იაფად შეუძლია იშოვოს იქავე ფაბრიკატები. მაგრამ ასეთი დამოუკიდებელი ეკონომიური პოლიტიკის მომხრე ჩვენ მაინც არა ვართ. ჩვენ მომხრე ვართ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირის, რაც არ განხორციელდება, თუ ერთმანეთისათვის არ გავიჭირვეთ, თუ ერთი-მეორეს ხელი არ შეუწყვეთ. ამიტომ ჩვენ აუცილებლად დაინტერესებულნი ვართ რუსეთის ინდუსტრიის განვითარებით და აუცილებლად ხელი უნდა შევუწყოთ მას, თუ გინდ ეს ამ წუთას არც ისე ხელსაყრელი იყოს ჩვენთვის.

ჩვენ მომავალი უფრო გვაინტერესებს, ვინემ დღევანდელი დღე. გარდა ამისა არც ის გვავიწყდება, რომ რუსეთიც გვეხმარება, გვიცავს იმპერიალისტებისაგან, გვაძლევს პურს, ოქროს და სხვა მრავალი.

ამიტომ, რასაკვირველია, გვირჩევნია რუსეთისაგან უფრო ძვირად ვიყიდოთ საქონელი, რომ ხელი შევუწყოთ მისი ინდუსტრიის განვითარებას. ამით ჩვენ ხელს ვუწყობთ სოციალისტური წარმოების განვითარებას. სხვანაირად მოქცევა ჩვენ არ შეგვიძლია. მაგრამ არც განაპირა ქვეყნების ინტერესები უნდა დავაყენოთ ისე დაბლა, რომ საბაჟო სისტემა გადაიქცეს ამ ქვეყნების საექსპლოატაციო საშუალებად რუსეთის სასარგებლოდ. ერთი რომ ფაბრიკატების სიძვირე და ნედლეულობის სიაფე მოსპობს უკანასკნელს, აღარ გააშენებენ ცხვარს, არ მოიყვანენ აბრეშუმს, არ დასთესენ ბამბას, რაკი ყოველივე ეს აღარ იქნება ხელსაყრელი. მაშასადამე აქაც არსებული სისტემა მიზნის საწინაალმდეგო შედეგს მოგვცემს.

მეორე მხრით ეს გარემოება იწვევს ცენტრის და განაპირა ქვეყნებთა ეკონომიური ინტერესების დაპირისპირებას, რაც ძლიერ ხელსაყრელია ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერებისათვის. აშკარაა ასეთი სისტემა ძლიერი იარალია მათ ხელში საბჭოთა რუსეთის წინაალმდეგ და ამით ეს სისტემა კონტრ-რევოლიუცას ჰკვებავს. ასეთი მდგომარეობა მშვენიერ ატმოსფერასა ჰქმნის შოვინისტური პროპაგანდისათვის.

ამ რიგად არსებული საბაჟო სისტემა, როგორც დავინახეთ ორ მაგალითზედ, გლეხობაზედ და განაპირა ქვეყნებზედ, ვერც მიზანს აღწევს საბოლოოდ და უნებლიეთაც კონტრ-რევოლიუციასაც უწყობს ხელს. ყოველივე ამას თვით რუსეთშიაც მიაქციეს ყურადღება ამ ბოლო დროს და მით უფრო თვალსაჩინოა ჩვენში. აღნიშნული მდგომარეობა რაც შეიძლება მალე უნდა გამოსწორდეს და არსებული საბაჟო სისტემა უნდა შეიცვალოს ისე, რომ მასში დაცულ იქნეს ინტერესები როგორც სოფლის, ისე ქალაქის, როგორც რუსეთის, ისე განაპირა ქვეყნების.

## მეტი ყურადღება სოფელს

6

წინა წერილში ჩვენ შევეხეთ იმ უსამართლობას და უწესობას გადასახადების საქმეში, რომელიც ამხედრებდა გლეხებს გადასახადების წინაალმდეგ.

რასაკვირველია ჩამოთვლილ ნაკლს, რომელიც კი შეეხება გადასახადების აკრებას სოფლათ, ადგილი არ უნდა ჰქონდეს მუშურ-გლეხური ხელისუფლების დროს და უფრო სამართლიანი უნდა იქნეს გადასახადების გაწერა.

გადასახადების საქმეს ძალიან აადვილებს ახალი მიწის რეფორმა სოფლად. ამ მიწის რეფორმის წყალობით გვეცოდინება ნათლად თუ თვითეულ გლეხის ოჯახს რამდენი დღიური მიწა აქვს სახნავი, 'ან ვენახი და გადასახადიც ამის მიხედვით უნდა იქნეს შეწერილი, ვინაიდან გლეხის შემოსავალს მიწა შეადგენს უმთავრესად, ის არის მისი ყველაფერი. სხვა შემოსავალი მას არსაიდან აქვს. ჩვენ, რასაკვირველია, მხედველობაში არა გვყავს ისეთი გლეხი, რომელსაც საქონლის ჯოგი და ცხვრის ფარა ჰყავს ან ღორის. ამნაირები გამონაკლისს შეადგენენ.

გადასახადების საქმეს მუშურ-გლეხური ხელისუფლება ძალიან ფრთხილად უნდა მიუდგეს და ის უმთავრესად დაეყრდნოს მიწის რაოდენობაზე, თუ ვის რამდენი უჭირავს და მხოლოდ მიწაზე მუშაობს. ამნაირი გადასახადით გლეხი უკმაყოფილო არ დარჩება და, როგორც იტყვიან ხოლმე:—„სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო“,—მას არაფერი ეწყინება.

შარშან, როგორც ვიცით, ხორბლეულით გადიხადა გლეხობამ გადასახადი და ამ გადასახადსაც ჰქონდა თავისებური ნაკლი. შეიძლება ეს მიეწეროს ნაჩქარევობას, და აი როგორ.

მაზრებზე იყო შეწერილი ხორბლის რაოდენობა; მაზრამ გააწერა რაიონებს, რაიონებმა თემებს, ხოლო ამ უკანასკნელმა თავის შეხედულებით გააწერა თვითეულ სოფელს. მაგრამ ეს გადასახადი დაურჩა გადასახდელად უმცირესობას; ხოლო უმრავლესობას არაფერი გადუხდია, რადგან ზერელე შეხედულებით იყო გაწერილი თვით სოფლის გლეხებისაგან, ვითომდა „შეძლებულებზე“.

მაგრამ ვინ არის შეძლებული გლეხი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ვაჭარს, რომელსაც მიწის შემოსავალთან ერთად სარგებლობს? შეძლებულ გლეხად ითვლება ის, ვინც დღესა და ღამეს შრომაში ატარებს, თავის მამულს უვლის წესიერად, თავის დროზე ხნავს, სთესავს და ეს მამულიც მეტ შემოსავალს აძლევს. ამასთანავე თავის შემოსავალს, ბევრია თუ ცოტა, ზომავს და შეგნებულად იყენებს.

მაგრამ ისეთი გლეხებიც არიან, რომელნიც არაფერს დაგიდევენ, როცა სხვა მუშაობს მას მხარ-თეძოზე სძინავს, მიუხედავად იმისა, რომ მამულით არ ჩამოუვარდება „შეძლებულ გლეხებს“.

მართალია ისიც, რომ ზოგიერთ გლეხს თავის ხანგრძლივი შრომით და მეცადინობით შეუძენია სხვაზე მეტი მამული, რასაკვირველია ამნაირი გლეხი უმიწა-წყლო გლეხთან შედარებით, შეძლებულად ჩაითვლება, მაგრამ ახალმა მიწის რეფორმამ ამნაირებს ჩამოაჭრა ზედმეტი მიწა და გაუთანასწორა უმიწო გლეხებს, რაც სამართლიან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

მამულის მიხედვით გადასახადის შეწერა ორნაირ სარგებლობას მოიტანს. პირველი ის, რომ უფრო სამართლიანი იქნება ამნაირი გადასახადი და მეორე ის, რომ უფრო ინტერესით მოეკიდება ყველა გლეხი მამულის მოვლის საქმეს და ეცდება მეტი სარგებლობა ნახოს მისგან, თორემ პირად, ზერელე შეხედულებაზე თუ დავამყარეთ გადასახადები, ჩვენი მეურნეობა წინსვლის მაგივრად უკან-უკან წავა.

— მამული ერთი გვაქვს და საქონელი ერთი-მეორეზე მეტი არა გვყავს. მე ვიმუშაო, მოუარო და გადასახადი მარტო მე გადავიხადოო? აი რას იტყვის ჩვენი გლეხი.

ამისათვის, რადგან არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლიან უგადასახადოთ არსებობა და მით უმეტეს ჩვენს საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან ახლად აღორძინების გზაზე ვართ დამდგარნი და ბევრი საკეთილო საქმეების გაკეთება არის მიზნად დასახული, და განსაკუთრებით სოფლის კეთილდღეობა არის მხედველობაში მიღებული, ამისათვის არც ერთი გლეხი არ უნდა გაექცეს გადასახადს, მით უმეტეს, რომ მისი ყოველი გროში ხმარდება მის მდგომარეობის გაუმჯობესებას, მის წელში გასწორებას.

კარგად უნდა გვახსოვდეს ყველას მუშებს და გლეხებს, რომ ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ვინ იზრუნებს ჩვენი საქმის მოწყობა-გაუმჯობესებაზე თუ არა ჩვენ მშრომელი ხალხი?..

**დვანელი გლეხიშვილი.**

# რადიო დეპეშები

## რურის ოლქის ოკუპაცია

**აფართოვებენ საბაჟო კორდონს**

**ბერლინი.** 29 მარტი, გენერალ დეგუტმა გასცა საიდუმლო ბრძანება საბაჟო ბლოკადის ახალ გაფართოვების შესახებ, რომლის ხაზი გაგრძელებულ უნდა იქნას კიდევ 9 კილომეტრით.

**რატუშის დარბევა**

**ბერლინი.** 29 მარტი, ვერნაში საოკუპაციო ხელისუფლებამ სავსებით დაანგრია რატუშის შენობა. ზარალი უდრის მილიონებს.

**იწონებენ ზევერინგის პოლიტიკას**

**ბერლინი.** 29 მარტი, გუშინდელ სხდომაზე პრუსიის კაბინეტმა, საგარეო და შინაგან მდგომარეობასთან დაკავშირებით, ერთხმად მოიწონა პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრის ზევერინგის ღონისძიებანი სახალხო თავისუფლების ტევტონთა პარტიის წინაალმდეგ.

**დაპატიმრებანი და რეკვიზიციები**

**ბერლინი.** 29 მარტი, დორტმუნდში ოკუპანტებმა ხელ-ახლად მოახდინეს გაჩხრეკა გერმანიის სამოქალაქო შენობებში, მოახდინეს მრავალი დაპატიმრებანი და ხელში ჩაიგდეს პოსტაში ყველა მარკები, რომლებიც გამოშვებული იყო რურის მოსახლეობის სასარგებლოდ, ესენში ოკუპანტებმა დაიკავეს სავაჭრო პალატის შენობა.

**ოკუპანტების წინაალმდეგ**

**ბერლინი.** 29 მარტი, გელზენკირხენში კომუნისტების გამოსვლებთან ერთად მოხდა აგრეთვე გამოსვლები ესენში და დორტმუნდში.

**ამერიკელი ბანკირი გერმანიაში**

**ბერლინი.** 29 მარტი, სტინესსა და ამერიკის ფინანსისტებს და მრეწველებს შორის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, რამოდენიმე დღის შემდეგ ბერლინში ჩამოვა ამერიკის ბანკების ტრესტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბური ამერიკელ ფინანსისტების კომისიით და გაემგზავრება რურში მდგომარეობის გამოსარკვევად.

**საფრანგეთის პირობები**

**პარიზი.** 29 მარტი, იხილავს რა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის როზენბერგის რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიაში გამოსვლას, „ტანი“ სწერს: „საფრანგეთის პრესას არა-ერთხელ განუცხადებია, რომ არავითარი წინადადება გერმანიისა არ შეიძლება მიღებულ იქმნას მხედველობაში, სანამ ის თავს არ დანებებს დაკავებულ ოლქებში პასიურ წინაალმდეგობის პოლიტიკას.

**„როტეფანე“ კუნოს სიტყვის შესახებ.**

**პარიზი.** 29 მარტი. არჩევს რა კანცლერ კუნოს მიერ მიუნხენში წარმოთქმულ სიტყვას, „როტე ფანე“ ამბობს: „კანცლერ კუნოს გაურკვეველ განცხადებას არ ექნება არავითარი გასავალი და აიხსნება მხოლოდ მისი შიშით ანტანტასთან და პუანკარესთან შეთანხმების უდროვოთ ჩაშლის შესაძლებლობის წინაშე.

**გენერალ დეგუტის განცხადება.**

**პარიზი.** 29 მარტი. გენერალ დეგუტმა განაცხადა, რომ გერმანიის პოლიციამ დაკავებული იარაღი უნდა ჩააბაროს საფრანგეთის ხელისუფლებას: პოლ. აგენტები კი გადასახლებულ იქნებიან.

**თავდასხმა სმიტზე.**

**ბერლინი.** 29 მარტი. რეინის სეპარატისტ სმიტზე თავდასხმის საქმის გამოძიებამ დაამტკიცა, რომ მთავარი დამნაშავე დეკცმანიც ეკუთვნოდა აგრეთვე ერთ, ერთ რეინლანდის სეპარატისტულ ორგანიზაციას, რომელიც ეჯიბრებოდა სმიტსის ჯგუფს.

**სასიამოვნო ცნობა.**

**ბერლინი.** 29 მარტი. ინგლისის მთავრობამ განსაკუთრებულ ნოტით აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ ბრიტანეთის საოკუპაციო ზონაში მდებარე რკინის გზები გადავიდა ფრანგების ხელში.

## ახლო აღმოსავლეთი.

**მორიგდენ.**

**მოსკოვი.** 29 მარტი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ 22 მარტს გარეშე საქმეთა სამინისტროში კერზონის თავმჯდომარეობით. შესდგა მოკავშირეთა ექსპერტების კონფერენციის პლენარული სხდომა კონფერენციაზე მიღწეული იყო შეთანხმება ოსმალეთისადმი პასუხის შესახებ. მთავრობის მიერ ოფიციალურათ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ პასუხი გამომუშავებულია და გადაეცა მთავრობებს დასტურისათვის დასტური მიცემულ უნდა იქნეს 48 საათის განმავლობაში. კონფერენციის შედეგები საიდუმლოთ ინახება.

## უცხოეთი

**ყვითლების უძლურება**

**მოსკოვი.** 29 მარტი. ბუდაპეშტში გახსნილ უნგრეთის პროფკავშირების კონგრესზე ამსტერდამის წარმომადგენელთა მონაწილეობით, აღნიშნულია, რომ უნგრეთის ორგანიზაციებში მყოფ მუშათა რიცხვი აღწევს 203.000, 21 წელში კი მათი რიცხვი უდრიდა 100.000. ქასეიმ აღნიშნა, რომ პროფკავშირთა საბჭოს მიერ გადადგმული ნაბიჯები პროფკავშირების ორგანიზაციების თავისუფლების დასაცავათ ჯერ-ჯერობით უნაყოფოთ ჩაიარა. პროფკავშირთა საბჭო მოითხოვს მუშათა საავადმყოფო კასების ავტონომიის აღდგენას, შრომის ხელფასთან დაკავშირებულ ყველა საკითხების რეგლამენტაციას კანონის მიერ, მინიმალურ განაკვეთის დაწესებას, ორმოცდა რვა საათის სამუშაო კვირის შემოღებას და ბავშვისა და ქალის შრომის დაცვის შემოღებას.

**სწყვეტენ კავშირს ყვითლებთან**

**მოსკოვი.** 29 მარტი. ბუდაპეშტის მელითონეებმა უარყვეს დამქირავებელთა და პროფკავშირების ხელმძღვანელთა შორის დადებული შეთანხმება, რომლის თანახმად 25 მარტს მუშაობა უნდა განახლებულიყო. მრავალ ქარხნებში მუშები ამ დღეს არ გამოცხადდენ. ზოგიერთ ფაბრიკებში გამოცხადებულმა მუშათა ჯგუფმა უარი სთქვა მუშაობაზე და მოაწყო კრება, რომელზედაც სასტიკათ ილაშქრებდენ ყვითელ ბელადების მიერ დაკავებულ პოზიციის წინაალმდეგ. მუშების მიერ განზრახულ საპროტესტო დემონსტრაცია არ იქმნა დაშვებული პოლიციის მიერ. პროფკავშირების ბელადებს იმედი აქვთ, რომ დაარწმუნებენ მუშებს დაიწყონ მუშაობა, მიუთითებენ რა დამქირავებელთა დაპირებაზე რომ მახლობელ თვეებში მოგვარებულ იქნება საკითხი შრომის ხელფასის შესახებ.

**პროტესტი კრენდოზებზე გამოტანილ განაჩენის წინაალმდეგ**

**მოსკოვი** 29 მარტი. პოლონეთის პრემიერმა სიკორსკიმ გადასცა რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიან წარმომადგენელს ვარშავაში ამხ. ობოლენსკის პროტესტი ცეპლიაკზე და ბუტკევიჩზე გამოტანილ განაჩენის წინაალმდეგ. სიკორსკი გამოვიდა აგრეთვე სეიმში სიტყვით კრენდზების პროცესის შესახებ.

**შავრაზმელთა ზრუნვა უნაყოფოა**

**მოსკოვი.** 29 მარტი, რიგიდან იტყობინებიან რომ ნაციონალურმა კლუბმა, ახალგაზრდობის ნაციონალურ კავშირთან და სხვა შავრაზმელთა ორგანიზაციებთან ერთად პროტესტის დღე გამართეს რიგაში ებრაელთა წინაალმდეგ. ქალაქში ავტომობილები დადიოდენ და ყრიდენ ფურცლებს მოწოდებით არავინ არაფერი იყიდონ ან გაყიდონ ებრაელ მაღაზიებში.

**მიემგზავრებიან თავის ბანაკში**

**მოსკოვი.** 29 მარტი, კოვნოდან იუწყებიან რომ 27 მარტს რუსეთში მიემგზავრება 5 კაცი ლიტვის საპყრობილეებიდან განთავისუფლებულ კომუნისტთა პირველ ჯგუფიდან, რუსეთში მათი ჩამოსვლას 26 მარტს მოელიან, მზადდება კომუნისტების მეორე ჯგუფის განთავისუფლება.

**კანონი შენიშვნით**

**მოსკოვი** 29 მარტი. შრომის მინისტრს შეაქვს დეპუტატთა პალატაში კანონპროექტი შრომის კანონების კოდექსში ვაშინგტონის მოლაპარაკებაზე მიღებულ დადგენილების შეტანის შესახებ. ეს დადგენილება უკრძალავს ღამით მუშაობას ქალებს და ბავშვებს. კანონპროექტში შეტანილია შენიშვნა, რომ საფრანგეთის მთავრობას ენიჭება უფლება შემოიღოს ეს დადგენილება მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოებში იქნება მიღებული იგი.

**ბულგარეთ-სამხრეთ სლავიის კონფერენცია**

**მოსკოვი** 29 მარტი. ვენიდან იტყობინებიან, რომ ნიშში დამთავრდა ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის კონფერენცია,

**რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლება**

**მოსკოვი** 29 მარტი. ვლადივასტოკიდან იტყობინებიან, რომ იაპონიის პალატამ მიიღო კანონპროექტი რუსეთ-იაპონიის შორის სავაჭრო ურთიერთობის განახლების დაჩქარების შესახებ.

**ფინეთ-რუსეთის ხელშეკრულება**

**მოსკოვი** 29 მარტი. გელსინგფორსიდან იტყობინებიან, რომ ფინეთის დელეგაციას განზრახული აქვს გაემგზავროს მოსკოვში აპრილის პირველ ნახევარში სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.

**რუსეთ-პოლონეთის კონფერენცია**

**მოსკოვი** 29 მარტი. რუსეთ-პოლონეთის სავაჭრო კონფერენციის მუშაობას საქმიანი ხასიათი აქვს. ზოგიერთი დაბრკოლებები მუშაობაში აიხსნე-

ზა პოლონეთის დელეგაციის არა სრული შემადგენლობით და ვარშავიდან დამატებით ინსტრუქციების მიღების აუცილებლობით. პოლონეთის დელეგაცია არ არის წინააღმდეგი რუსეთში არსებულ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიისა.

**რუსეთ-დანიის მოლაპარაკება**

**მოსკოვი** 29 მარტი. 27 მარტს მოსკოვში გაიმართება დანიის დელეგაციის მეორე სხდომა. მის მიერ წარმოდგენილი პროექტი მოითხოვს დანიისათვის უფრო მეტ შეღავათიან მდგომარეობას, ვიდრე ამას გულისხმობს რუსეთთან დადებული ანალოგიური ხელშეკრულებანი იმ მთავრობებისა, რომელთაც საბჭოთა რუსეთი იცნეს დე-ფაქტო.

**შემთანხმებლების ინტერნაციონალის კონგრესზე**

**მოსკოვი** 29 მარტი. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმმა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა ვენის ინტერნაციონალის ორგანიზაციაში, სცნო რა. რომ მისი პრინციპები საფუძვლად უნდა დაედოს მომავალ ინტერნაციონალს.

**გზა მშვიდობისა**

**მოსკოვი** 29 მარტი, ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ ვაშინგტონის ხელისუფლებამ ამერიკაში შესვლის ნება მისცა 200 რუს-თეთრგვარდიელს. რომლებიც იმყოფებოდენ სტამბოლში. რუს ემიგრანტებისათვის ამერიკის მიერ მიცემულ ნორმის შევსების გამო, თეთრგვარდიელები დაშვებულნი იქნებიან ბესარაბიისითვის მიცემულ შეუვსებელი ნორმის ანგარიშში ამერიკის მთავრობის წარმომადგენლები გაურბიან ლაპარაკს ამაზე, რომ ეს ნორმის გადიდება ნიშნავს თუ არა ბესარაბიის რუსეთის ტერიტორიიათ ცნობას. „როსტა“-ს კორესპოდენტის ცნობით ამერიკის შრომის სამინისტრომ პირველად გადასწყვიტა არ შეეშვა ეს ლტოლვილები ამერიკაში და გაეგზავნათ ისინი რუსეთში, მაგრამ უკანასკნელ დროს მთავრობამ თეთრგვარდიელებისადმი მეგობრულად განწყობილი წრეების გავლენით შესცვალა თავისი პოზიცია.

**მოკავშირეების კარნახით.**

**მოსკოვი.** 29 მარტი. ვენიდან იტყობინებიან რომ სოციალ-დემოკრატების პარლამენტალური ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ ძლიერდება იმის გამო, რომ მთავრობას განზრახული აქვს სამხედრო სამინისტროს გაუქმება. ოპოზიციის წინააღმდეგობის გამო მთავრობა დათანხმდა სამინისტროს დატოვებაზე ხოლო მოითხოვა გაუქმება სამოქალაქო კომისარიატების, რომელთა საშუალებით სოციალ-დემოკრატები კონტროლს უწევდენ სამხედრო სამმართველოს და აგრეთვე ჯარისკაცთა საბჭოების მოსპობა.

**კამათი რურის საკითხის გარშემო თემთა პალატაში.**

**ლონდონი** 29 მარტი. ნაციონალ-ლიბერალმა ედვარდ-გრეგმა შეიტანა თემთა პალატაში შეკითხვა რურის ოლქის ოკუპაციის შესახებ. შეკითხვის შეტანის დროს მან სთქვა „ოკუპაცია ძალიან დიდ გავლენას ახდენს ინგლისის მრეწველობაზე და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ინგლისის მთავრობა გადასდგამს ნაბიჯებს: რათა უკეთესი პირობები მოუპოვოს ინგლისის ექსპორტს რურში, სანამ ოკუპაცია არ დამთავრდება და არ იქნება შამუშავებული მთავრობის ახალი პოლიტიკა ამ საკითხში, ინგლისის ვაჭრობა არასოდეს არ იქნება აღდგენილი. შემდეგ გრეგმა განაცხადა, რომ გერმანიამ სავსებით შეასრულა ვერსალის ხელშეკრულების მოთხოვნილებანი და ამ ჟამად იგი სავსებით განიარაღებულია.

გრეგის აზრით, საკონტრიბუციო საკითხში არ არის წინააღმდეგობა საფრანგეთის და ინგლისის მთავრობების შორის, მაგრამ კონტრიბუცია არ შეიძლება ჩაითვალოს საფრანგეთის პოლიტიკის საფუძვლად. მაგრამ საფრანგეთი მისდევს ახალ პოლიტიკას, რომელიც გამოიხატება ცდაში ჩამოგლიჯოს გერმანიას ტერიტორიის ერთი მაწილი თუ საფრანგეთი განაგრძობს ასეთ პოლიტიკას, ეს იმას მოასწავებს, რომ ის ჩაერევა გერმანიის შინაურ საქმეებში და სამუდამოთ შეზღუდავს მის სუვერენობას, ხოლო ეს თავის მხრივ სულ ახლო მომავალში ახალ აფეთქებას გამოიწვევს. ყველაფერი ეს კი ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას. გრეგმა წინადადება მისცა ინგლისის მთავრობას შეკითხვა გაუგზავნოს ამის გამო ყველა სახელმწიფოებს.

შემდეგ გარინგტონ ევანსი აღნიშნავდა, რომ საჭიროა თავიდან ავიშოროთ საფრანგეთის ეჭვიანობა. მან სთქვა „იჭვისათვის არავითარი საფუძველი არ არის საფრანგეთი ფიქრობს, რომ ჩვენ კონტრიბუციების მიღების გზაზე ვდგევართ მაგრამ ეს არ არის, მართალი. პირიქით ინგლისი მზად იყო მხარი დაეჭირა ყოველ პრაქტიკულ წინადადებისათვის ამ საკითხში საფრანგეთი ფიქრობს, რომ ჩვენ წავართვით მას უშიშროების გარანტია, ჩვენ ეს არ ჩაგვიდენია გარინგტონის აზრით, საჭიროა ხელახალა დაიწყოს მოლაპარაკება საკონტრიბუციო საკითხში, რისთვისაც ის აძლევს წინადადებას ინგლისის მთავრობას გადასდგას სათანადო ნაბიჯები.

ასკვიტმა განაცხადა, რომ მისი აზრით, საფრანგეთმა მიიღო უშიშროების საკმაო გარანტიები გერმანიის მხრივ მომავალ მუქარის მხრივ, ვერსალის ხელშეკრულების მუხლებში.

ეს ხელშეკრულება უკრძალავს გერმანიას რეინის მარცხენა ნაპირებზე სიმგრეების აშენებას და სამხედრო ძალებისათვის დროებით ან მუდმივად თავის მოყრას სამხედრო მანევრების მიზნით. ხელშეკრულება აგრეთვე ითვალისწინებს, რომ თუ გერმანია დაარღვევს ამ დადგენილებას, ეს იქნება მტრული აქტი არა მარტო საფრანგეთის მიმართ, არამედ ყველა იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელთაც ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას.

**მაკდონალდის სიტყვა**

ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერმა მაკდონალდმა განაცხადა, რომ მისი აზრით ინგლისის მთავრობა უნდა შეეკითხოს საფრანგეთს, როგორია მისი პოლიტიკა და მისი მიზნები სურს მას მუდმივი უკუპაციით.

**მთავრობის პასუხი**

ბონარ ლოუს არ ყოფნის გამო, მთავრობის სახელით ხაზინის ლორდ-კანცლერმა ბალდუინმა. მან სთქვა: „მთავარი სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ღრმა და გარდუვალი წინააღმდეგობა არსებობს ჩვენსა და ჩვენ მოკავშირეების შორის იმ პოლიტიკის საკითხში, რომელიც ჩვენ უნდა გავატაროთ. საფრანგეთი აკეთებს და ფიქრობს განაგრძოს ის, რასაც ჩვენ ჯერ კიდევ ორმ წლის წინად გაურბოდით. გარდა ამისა საფრანგეთმა დაამტკიცა, რომ მას რა სურს მიიღოს რაიმე შუამავლობა და საფრანგეთის ასეთი პოზიცია და ყველა მათი ვინც მასთან არიან ხურავენ კარებს მიღწეულ იქნას ამა თუ იმ საშუალებით რაიმე შეთანხმებს“. დასკვნაში ბალდუინმა გამოსთქვა რწმენა, რომ მოვა დრო, როდესაც ინგლისის შუამავლობას ექნება უდიდესი მნიშვნელობა „ჩვენ შევინარჩუნეთ მოკავშირეების [illegible] და ნდობა, სთქვა ბალდუინმა და მე ვფიქრობ, რომ გერმანია ხელახლა [illegible], როდესაც ამისათვის შესაფერი დრო დადგება, ეს უნდა გვამშვიდებს ჩვენ და არაფრის გზით არ უნდა დავსთმოთ ერთხელვე დაჭერილი პოზიცია“.

## რ უ ს ე თ ი.

**ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.**

**ბიულეტენი № 12.**

**მოსკოვი** 28 მარტი. ტემპერატურა—38, პულსი, 110, სუნთქვა—28. სიცხის მომატება დამოკიდებულია საჭმლის მომზადებელ სისტემის უწესო მოქმედებაზე. ფილტვების და სხვა შინაგან ორგანოების მხრივ არავითარი ცვლილება არ ემჩნევა.

1923 წ. 28 მარტი, ნაშუადღევის 2 საათი.

პროფესორები: **მინკოვსკი, ავორხტერი, ბუმბკი, კრამერი.**

პრივატ-დოცენტი—**კაჟევნიკოვი.**

ჯანმრთელობის სახ. კომისარი—**სემაშკო.**

**უცხოეთის ფირმები რუსეთის ვაჭრობაში**

**მოსკოვი** 29 მარტი. სახალხო კომისართა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომ უცხოეთის ფირმები დაიშვებიან სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლად ს. ს. რ. კ. საზღვრებში მხოლოდ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სათანადო ნებართვით. ამ წარმომადგენლობებთან ხელშეკრულების დადება საგარეო ვაჭრობის შესახებ ნებადართულია ყველა დაწესებულებათა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და კერძო პირთათვის. უცხოეთის ფირმების წარმომადგენლებათ შეუძლიათ იყვნენ პირები, რომლებიც არ ითვლებიან ს. ს. რ. ფ. სახელმწიფო სამსახურში.

**ვაჭრობა საზღვარ-გარეთთან**

**მოსკოვი** 29 მარტი. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად ს. ს. რ. კ. სავაჭრო ორგანოების წარმომადგენლებს ს. ს. რ. კ. სავაჭრო წარმომადგენლობა, წარმოებებს, რომლებსაც მიღებული აქვთ უფლება სავაჭრო ოპერაციების წარმოება საზღვარგარეთში, შეუძლია გაჰყიდონ იქ თავისი წარმოების საქონელი და იყიდოს აგრეთვე მათთვის საჭირო საგნები.

**სახალხო ქონების გამფლანგავნი.**

**მოსკოვი** 29 მარტი. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს თანამშრომელთა პროცესზე დაკითხულ იქმნა ნიჟეგოროდის ბაზრობის თავმჯდომარე ამხ. მალიშევი, რომელმაც განაცხადა, რომ მოსკოვის ვაჭრობის სამმართველოს წარმომადგენლები ბაზრობაზე არ ცდილობდნენ საქმის სასარგებლოთ, არამედ ქმნიდენ შუამავალთა და კომისიონერთა კეთილდღეობას. ბრალდებულთა მთელი მოქმედება, როგორც გამოირკვა გასამართლებაზე, მიმართული იყო სახალხო ქონების გაფლანგვისაკენ.

## ახალი ამბები.

— **დახმარება ქართველ უდინებს.** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა ქართველ უდინების რწმუნებულის ამხ. სალიკაშვილის შუამდგომლობის თანახმად დაადგინა გადაეცეს ხსენებულ ახალშენს დასამუშავებლად თელავის მაზრის (ყვარელის რაიონი) ვაკე-ტყიანი ადგილები: კორკიტიანი, ვარსაანი, კაკლის ყური და ჩანტლის ყური დაახლოვებით 1000 დესიატინამდე. ახალშენს აგრეთვე უფლება მიენიჭა უვარგის ტყეების გაკაფვის შემდეგ ადგილები მოიხმარონ სახნავ-სათესათ.

— **მიწების ჩამორთმევა.** მიწად-მოქმედების კომისარიატის ცნობით მიწის უკანასკნელი რეფორმის ერთი ნაწილის გატარება საქართველოში დამთავრებულია. სულ ჩამოერთვა მემამულეებს 7.300 დესიატინა მიწა. რაიონების მიხედვით აღნიშნული რაოდენობა ნაწილდება ასე: სართიჭალის რაიონი—3275 დესიატ., საგარეჯოს—612 დეს., დილომის—463 დეს., ალბულაღის—1320 დეს., მანგლისის—950 დეს., ავჭალის და კოჯრის—420 დეს., ასურეთის—231 დეს.

— **მივლინება.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ამხ. თ. ღლონტი გაიგზავნოს მოსკოვში ზემო-ავჭალის სადგურისათვის რუსეთის სახ. კომ. საბჭოს მიერ გადადებულ სუბსიდიის მისაღებათ.

— **დახმარება ახალგაზრდა უმუშევრებს.** პრეზიდიუმმა დაადგინა „ახალგაზრდა უმუშევარის კვირეულის“ სასარგებლოთ გადადებული იქნეს 100 მილიონი მან.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** 26 მარტს ა. კ. სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ განიხილა მომავალ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პროექტი და ამ დღეებში წარუდგენს ა. მ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

— **სასურსათო გადასახადი აფხაზეთში.** თანახმად საქ. ც. ა. კომ. დადგენილებისა ამიერ-კავკასიის სასურსათო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის სამართველომ ნება დართო აფხაზეთს იქ აკრეფილ სასურსათო გადასახადის 20 პროცენტი მოხმარდეს ადგილობრივ საჭიროებას.

— **კოოპერაციის საქმეთა სამმართველოში.** უმ. ეკონ. საბჭოსთან არსებულ კოოპერაციის საქმეთა სამმართველომ დაამტკიცა შემდეგი კოოპერატიული ორგანიზაციები: 1. საქ. საავარაკო კოოპერატივი „გული“, 2. ხონის მუშათა და გლეხთა კოოპერატივი, 3. ცენტრ. ბინების აღმშენებელი კოოპერატივი „ცენტრ სტროი“, 4. პირველი ტფილისის გამშენებელი ამხანაგობა, 5. „ტომსკის“ სახელობის ბინების ამშენებელი ამხანაგობა, 6. „ტროცკის“ სახელობის ბინების ამშენებელი ამხანაგობა,

## ოკუპაცია და გერმანიის სახალხო მეურნეობა

(დასასრული)

ჯერ კიდევ რურის ოლქის ოკუპაციამდე, ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიამ დაკარგა მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი ქვა-ნახშირიან ადგილებისა ზემო სილეზიასა და საარში. ამას გარდა ამავე ხელშეკრულების ძალით გერმანია ვალდებული იყო მისთვის დატოვებულ ქვა-ნახშირის მთელი რაოდენობიდან, ყოველ-წლიურად შეევსო ის დანაკლისი, რომელიც საფრანგეთმა განიცადა ომის გამო თავის ჩრდილოეთ დეპარტამენტებში. იმ წესით, რომელიც გამომუშავებული იყო, საფრანგეთს ყოველწლიურათ 10 წლის განმავლობაში უნდა მიეღო 7.000.000 ტონი ქვანახშირი; ბელგიას—8.000.000 ტონი; ამას გარდა იტალიის და ლუქსენბურგსაც. ამავე დროს კი გერმანიის ქვა-ნახშირის მაღაროების ნაყოფიერება ომის წინა ხანებთან დიდათ დაცემული იყო და საბოლოო ანგარიშით ამოღებულ 100.000.000 ტონიდან 40 მილ. ტონი მოკავშირეებისათვის უნდა ყოფილიყო გადაცემული, ხოლო ამავე დროს 110 მილიონი ტონნა თვით გერმანიის საჭიროებისათვის იყო საჭირო. ცხადია, ასეთ პირობებში ვალდებულებათა სუსტ შესრულებაზეც ზედმეტი იყო ლაპარაკი.

შექმნილმა ვითარებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ 11 იანვარს ა. წ. საფრანგეთის და ბელგიის ჯარები შეიჭრენ გერმანიის სამრეწველო ცენტრში საკუთარი პრეტენზიების საკუთარივე ძალებით დასაკმაყოფილებლად. თუ რამდენათ სასურველ გარემოებას შექმნის სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით ეს ფაქტი,—სულ მალე იქნება თვალსაჩინო; საამისო სიმპტომები ამთავითვე შეიძლება შენიშნული იქმნენ. „ყოველი მილიონი ტონნი ქვანახშირისა, უცხოეთში გატანილი, გამოიწვევს რომელიმე სამრეწველო წარმოების დახურვას.. ცხადია, რომ გერმანია ვერც მისცემს და არც მისცემს მოკავშირეებს ყოველწლიურ კონტრიბუციას 40.000.000 ტონნას“,—ასე გრძნობდენ იმთავითვე იმ შედეგებს, რომელიც მოყვებოდა ასეთ სულშემხუთველ საზავო პირობებს. დღეს არა თუ იმის მოწმენი გავხდით, რომ ეს შეუძლებელი შეიქნა, არამედ იმისაც, რომ ანტანტას პიკეტები დაეპატრონენ იმ ოლქებს, რომელიც ხელშეკრულებით გერმანიას რჩებოდა და რომელნიც უკანასკნელ საფუძველს შეადგენდენ მის დასუსტებულ სამრეწველო ცხოვრებისათვის.

მადნეულობის მხრით გერმანიამ ჯერ კიდევ უდიდესი დანაკლისი განიცადა ელზას-ლატარინგიის ჩამოშორებით. მთელი გერმანიის რკინის ამოღების 75 პროც. ელზას-ლატარინგიას ეკუთვნოდა.

რკინის და ფოლადის წარმოება ოკუპაცია ქმნილ ოლქებში გერმანიის საერთო წარმოებასთან შედარებით შემდეგ სურათს იძლევა, წარმოებული იყო 1000 ტონნით:

| | რკინა 1913 წ. | რკინა 1920 წ. | ფოლადი 1913 წ | ფოლადი 1920 წ. |
|---|---|---|---|---|
| საარის ოლქი | 1371 — | 643 | 2080 — | 740 |
| სხვა ოკუპ. ქმნილი ოლქები | 1512 — | 676 | 2298 — | 1276 |
| რური | 6622 — | 3779 | 7251 — | 4702 |
| სულ ოკუპაციით დაჭ. ოლქებ. | 9505 — | 5098 | 11629 — | 6718 |
| სულ გერმანიაში | 12287— | 6647 | 13659 — | 8136 |

ასე რომ რურის ოლქის წარმოება ფოლადისა და რკინის მხრით, მთელი გერმანიის ამავე მადნების წარმოების 62 პროცენტს შეადგენდა დაახლოვებით, ხოლო ყველა ოკუპაციით დაჭერილი ადგილების წარმოება მთელი გერმანიის წარმოებასთან შედარებით კი ფოლადი—80 პროცენტს; რკინა—70 პროცენტს. აღნიშნული ციფრებით ადვილი გასათვალისწინებელი ხდება ის ზარალი, რომელიც გერმანიის მეტალურგიულმა მრეწველობამ განიცადა ჯერ წინათ ჩამორთმეული ოლქების გამო და განსაკუთრებით უკანასკნელად—რურის ოლქის ოკუპაციით.

ფრანგების მიერ დაკავებული ოლქები არა მარტო მსხვილ ინდუსტრიალურ პუნქტებს წარმოადგენენ, არამედ ამ ადგილების მიწების დიდი ნაყოფიერებისა და მაღალი კულტურის გამო, ისინი დიდ როლს თამაშობდენ გერმანიის სასოფლო მეურნეობაშიც. მიწების ნაყოფიერება აქ საშუალოდ უფრო მაღალია, ვიდრე გერმანიის დანარჩენ ოლქებში. აა, რას წარმოადგენს ამ ოლქების მდგომარეობა მიწათ-მოქმედების მხრით:

| | მიწ.-მოქ. სივრცე ჰექტ. | პროც. | მიწ.-მოქ. პირ. რაოდ. | პროც. |
|---|---|---|---|---|
| საარის ოლქი — | 99.000 | 0,4 | 116.000 | 0,9 |
| წინანდელი ოკუპ. ქმნილი ოლქ. | 1.583.000 | 5,8 | 1.254.000 | 9,3 |
| რურის ოლქი — | 187.000 | 0,7 | 220.000 | 1,6 |
| სულ ოკუპაციით დაკავებ. ოლქ. | 1.869.000 | 6,9 | 1.590,000 | 11,8 |
| თანამედროვე გერმანია — | 27.323.000 | 100 | 13.457.000 | 100 |

მიუხედავათ აღნიშნული ოლქების დიდი ნაყოფიერებისა,—საკუთარი მოსავალი მაინც ვერ აკმაყოფილებს აა ოლქების მოთხოვნილებას, ეს იმიტომ, რომ დიდი სამრეწველო განვითარების და მოსახლეობის სიმჭიდროვის გამო ამ ოლქებში მოსახლეობა გაცილებით მეტია პროპორციულათ, ვიდრე მოსავალი—მთელ გერმანიასთან შედარებით. ამ ოლქების მცხოვრებთა რიცხვი შეადგენს 18 პროცენტს მთელი გერმანიის მოსახლეობისას, მაშინ როდესაც ხორბლის მოსავალი 7,8 პროცენტს უდრის.

აღნიშნულ ოლქებში მეტად განვითარებულია აგრეთვე მევენახეობა, აქ არის მთელი გერმანიის ვენახების თითქმის 3/5: საერთო რიცხვი შეადგენს 74.000 ჰექტარს, რომლითაც ამ ოლქებზე 45000 მოდის; ხსენებულ ოლქებში შედის არა მარტო მეტი რაოდენობა ვენახების სივრცისა, არამედ აქვეა მოქცეული ის ადგილები (რეინვალცი, მოზელი და სხ.), რომლებიც უმაღლესი ხარისხის ღვინოებს ამზადებდენ.

ამავე ოლქებში საკმაოდ არის განვითარებული მესაქონლეობა; ამ საქონელთა რიცხვში საკმაოდ დიდი პროცენტი შედის პროდუქტების მომცემ საქონლებისა და ცხენების; ღორების რაოდენობის მხრით კი აღნიშნულ ოლქებს პირველი ადგილი უჭირავთ.

ამრიგათ, აღნიშნული ცნობები ოდნავ მაინც გვაძლევენ წარმოდგენას შესახებ იმისა, თუ რა ადგილი ეჭირათ ოკუპაციით დაკავებულ ოლქებს გერმანიის სახალხო მეურნეობაში და რამდენათ საგრძნობი უნდა გახდეს ამ ოლქების ჩამოცილება გერმანიის ისედაც დასუსტებულ ეკონომიური მდგომარეობისათვის. შესაძლებელია ასეთ პირობებში რეპარაციებზე და მის შესრულებაზე ლაპარაკი?—პუანკარე რურის დაკავებისთანავე ხმა-მაღლა აცხადებდა: გერმანიას არასოდეს არ სურდა თავის სარეპარაციო ვალდებულებათა შესრულება; ჩვენ საკმაო დაპირებებს გვაძლევდენ, ჩვენ რეალურ რეზულტატებს მოვითხოვთო. გერმანიის ნამდვილ განზრახვებს რომ თავი დავანებოთ და საკითხი იმ მხრივ იქნას დასმული, თუ რამდენათ არის შესაძლებელი ვალდებულებათა იმ საზომით, რაოდენობით და ვადით შესრულება, რომელნიც იქნენ წამოყენებული გერმანიის მიმართ,—ჭეშმარიტება ხელსახები გახდება. ეს არის, რომ შექმნილ გარემოებების გამო გერმანიას წაერთვა საშვალება, ომის შედეგების ლიკვიდაციას სიმწვავე მაინც შემსუბუქდებოდა და გადაეტანა ის ტვირთი, რომელიც ისტორიის ნებამ მას დააკისრა.

რამდენათ სასარგებლოა თვით მოკავშირეებისა და კერძოთ კი საფრანგეთისათვის ოკუპაციის გაგრძელება?—უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის ჯარების გერმანიაში შემოჭრის პირველ დღეებიდანვე მდგომარეობამ რთული ხასიათი მიიღო; ქვა-ნახშირის ტრანსპორტი საკმაოთ შეფერხდა და მისი გატანა მეტად დაეცა. სურსათის მიწოდების გართულების და ინციდენტების გამო ნაყოფიერება მუშაობისა ამ ოლქებში დაეცა და ამის გამო საჭირო გახდა მთელ რიგ წარმოებათა შემცირება. თვით საფრანგეთისთვისაც კი ვერ გამოდგა ის სახეირო; ფრანკი რომელიც თანდათან სიმტკიცის გზას ადგა. 157 პროცენტით დაეცა, ამას გარდა საოკუპაციო ხარჯები მეტად საგრძნობ თანხას შეადგენენ და ყოველივე ამას შედეგათ ბანკნოტების დაუსრულებელი ემისია მოსდევს.

1923 წლის 25 იანვრისათვის ტრიალში იყო 36,730 მილიარდი ფრანკი (1913 წელს კი—5,714 მილიარდი); 1923 წლისათვის საფრანგეთის ბიუჯეტის დეფიციტი ფინანსთა მინისტრის გამოანგარიშებით 24 მილიარდ ფრანკს შეადგენს. ასეთი არის არსებული ვითარება.

მეტად საინტერესოა საფრანგეთის პოლიტიკის დახასიათება, რომელიც ეკუთვნის რეიხსკანცლერ კუნოს: „პუანკარე ზომებს იღებს იმისათვისო, განაცხადა მან,—რომ ახალი დარბევა მოახდინოს გერმანიისა. ის სცდილობს არა ხელშეკრულებათა განხორციელებას, არა აღდგენას, არამედ გერმანიაზე მბრძანებლობის დამყარებას. გერმანია კი თავის არსებობისათვის იბრძვის“. უახლოესი ხანა, ალბად, კიდევ უფრო თვალსაჩინოთ გახდის მას, თუ სანამდე წავა საფრანგეთის პრეტენზიები და ავანტიურა.

ოკუპაციით შექმნილი ამბები და მღელვარება ჯერ არ მიწყნარებულა; არ ვიცით, თუ რამდენათ ნაყოფიერი მუშაობა სწარმოებს იქ ფრანგების მიერ, იმ წვენის გამოსაწურათ, რომელიც ასე სწყურია საფრანგეთს. საფრანგეთის პოლიტიკის შედეგები რურის ოლქში უფრო მეტ მასალას მოგვცემენ, როგორც გერმანიის ისე საფრანგეთის სამეურნეო მდგომარეობის შეფასებისათვის ახლო მომავალში.

გ.—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, აპრილის 1-ს დილის 11 საათზე, პარტიის ცენტრალურ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) ამხ.

ამხ. სერ. ამაღლობელი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე:

# „ჩვენი პოლიტიკა სოციალ.-ფედერალიზმის სამსჯავროს წინაშე.“

(მოხსენება მარტის 25-ს არ შესდგა მოხსენებლის ტფილისიდან გამგზავრების გამო.)

შესვლა შეუძლია პარტიის წევრებს.

ცე-4 საუ ნი. კომიტეტი.

7. ბინების გამშენებელი ამხანაგობა „ვპერიოდი“, 8. „ლენინის“ სახელობის ბინების ამშენებელი ამხანაგობა, 9. „მიხა ცხაკაიას“ სახელობის ბინების ამშენებელი ამხანაგობა.

— **შუამდგომლობა.** 1919 წელს ამერიკულ კომიტეტს ს. წ. ჯ. ს. გადაეცა სადეზინფექციო აპარატი. ახლად განახლებულმა წ. ჯ. საზოგადოებამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ამ აპარატის უკან დაბრუნების შესახებ.

— **ქალთა კომიტეტი.** საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტთან შესდგა ქალთა კომიტეტი, რომელშიდაც შედიან: 1. ნინო ნაკაშიძე, 2. ოლღა კიკალიშვილისა. 3. ნინო ამირაჯიბისა, 4. ნინო მახარაძისა. 5. ელენა წულუკიძისა. 6. მარიამ ორახელაშვილი, 7. ალიმპიადა მიქელაძისა, 8. ნატალია მუსხელოვისა, 9. გეგეჭკორისა, 10. სოფიო მამულიასი.

— **საწევრო გადასახადების გადიდება.** საზოგადოების ც. კ. პრეზიდიუმმა დაადგინა გაადიდოს წ. ჯ. ს. საწევრო გადასახადი.

— **ავტომობილების გადმოცემა.** ს. ხ. მ. უ. ს. მისცა საქართველოს წით. ჯვრის საზოგადოებას ორი სამგზავრო და ორი საბარგო ავტომობილი.

## პარტიაში

კვირას, აპრილის 1-ს, დილის 11 საათზე, ცენტრალურ პარტბიუროში დანიშნულია მეოთხე რაიონის (1 და 2 უბანი) ამხანაგების საერთო კრება.

რაიკომის მდივანი: **ხოფერია.**

...რი წევრი. საკითხის გადასაწყვეტად მოწვეულ იყო გაერთიანებული კრება შრომის ბირჟის და დამზღვევ კასის წარმომადგენლების თანადასწრებით. კრებამ დაადგინა, მიიღოს უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად გადაჭრილი ზომები და შეძლების დაგვარად გაეწიოს დახმარება უმუშევართ.

**ბორჩალოს განყოფილება.** ბორჩალოს განყოფილებაში ირიცხება 151 წევ. მაზრაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავის მუყაით მუშაობით შულავერის რაიონის ადგილკომი. კულტმუშაობისთვის დაარსებულია კულტგანმანათლებელი კომისია. ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობს კულტურულ-განმანათლებელ დარგის საქმეებს.

**თელავის განყოფილება.** თელავის სამაზრო განყოფილებას ჰყავს 255 წევრი. განყოფილებამ მოაწყო ადგილკომების ყრილობა. კულტურულ-განმანათლებელი დარგი აქ კარგად ვერ არის დაყენებული.

**სიღნაღის განყოფილება.** სიღნაღის განყოფილებაში ამ ჟამად ირიცხება 330 წევრი. თებერვალში ცენტრიდან გამოგზავნილი იყო ინსტრუქტორი, რომელმაც ერთ-ერთ კრებაზე დამსწრე წევრებს გააცნო შრომის კანონთა ახალი კოდექსი და ახალი სატარიფო პოლიტიკა.

## სარრა ბერნარი.

როგორც პარიზიდან იტყობინებიან, მარტის 26-ს გარდაიცვალა საფრანგეთის სახელოვანი არტისტი ქალი სარრა ბერნარი.

ბერნარი დაიბადა პარიზში 1844 წ. ოქტ. 12-ს, ებრაელის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება მონასტერში მიიღო, შემდეგ სწავლობდა კონსერვატორიაში.

სარრა ბერნარი სცენაზე პირველად 1862 წ. გამოვიდა, comedie francaiseში, იფიგენიის როლში. შემდეგ იგი მიწვეულ იქმნა მსახიობად თეატრ g mnase-ში. აქ მან პირველად გამოიჩინა დიდი არტისტული ნიჭი და ის დამახასიათებელი თვისება, რომლითაც აღჭურვილია ყოველი დიდბუნებოვანი მსახიობი.

ბერნარიმ იმოგზაურა ისპანეთში. პარიზში დაბრუნებისას ფსევდონიმით გამოვიდა თეატრ „a lzaporte-saint martin“-ში. დაბოლოს შევიდა ოდეონში. აქ იგი მონაწილეობას იღებდა შემდეგ პიესებში: „მეფე ლირი“, „le Plassant“, „le Drame de la rue de la Paix“ და სხ. ამ ხნიდან მიიპყრო ბერნარიმ საზოგადოების და კრიტიკის ყურადღება.

1872 წ. ნოემბრის 6 სარრა ბერნარი კვლავ გამოვიდა Comedie Fransaise-ში. წარმატებით გამოსვლებისათვის თეატრის გამგეობამ დაუნიშნა სახელოვან მსახიობს 6.000 ფრანკი წელიწადში.

სარრა ბერნარიმ გასაოცარი და დასრულებული ნიჭი გამოიჩინა თანამედროვე კომედიების მთავარ როლების შესრულებაში, ასეთივე—კლასიკურ დრამასა და ტრაღედიებში. იგი აუდიტორიას ხიბლავდა თავისი ნაზი ინტონაციით, ჟესტიკულიაციით, მიმიკით, ძალის ექსპრესით, გრძნობის სიღრმავით და სხვა.

ბერნარი ცოლად გაჰყვა მსახიობ ჟაკ დამალს, რომელსაც შემდეგ განშორდა.

ბერნარი ცნობილია აგრეთვე როგორც მწერალი, მოქანდაკე და მხატვარი. ბერნარიმ იმოგზაურა აგრეთვე ევროპასა და ამერიკაში არტისტიულის მიზნით. ყოველი მისი გამოსვლა ნამდვილი ტრიუმფი იყო. 1882 წ. იგი თამაშობდა პეტროგრადის, მოსკოვის და ოდესის სცენებზე.

უკანასკნელ ხანებში, მოხუცებულობისა გამო, ბერნარის ძალ-ღონე არ შესწევდა სასცენო მოღვაწეობისათვის. მსახიობ ქალის სურვილი კი დიდი იყო, რათა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე განეგრძო სცენებზე გამოსვლა. ამიტომ ერთ-ერთ სახელოვანთაგან ფრანგ მწერალმა დასწერა განსაკუთრებით ბერნარისათვის ისეთი პიესა, რომლის მთავარ როლის შესრულება შეეძლო ბერნარს, ვინაიდან როლი მოძრაობას არ მოითხოვდა მსახიობისაგან. „დამჯდარ როლშიაც“ ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებდა საზოგადოებაზე ბერნარი.

ჭეშმარიტად, ბერნარი ნამდვილი მსახიობი იყო, დაჯილდოებული მსახიობის ყველა დადებით თვისებებით.

## წერილი სოფლიდან.

**წყალი და სისუფთავე სოფლად.** მიშელ ლევის შესანიშნავი სახელმძღვანელოს გამოცემის შემდეგ ჰიგიენის შესახებ, ევროპის სახელმწიფოებმა დიდი ყურადღება მიაქციეს დაბა-ქალაქების სისუფთავეს, წყალს, უწმინდურებათა არხების გაყვანას, უნესტო და ნათელ სადგომების აგებას, მცხოვრებთა კვებას საუკეთესო და საკმაო სანოვაგით და სხვა და სხვა. ჩვენც სწორედ აქა ვართ და გვსურს უაღრესი ყურადღება შევაჩერეთ ვისიც ჯერ არს დასახელებულ საჰიგიენო საგნებზე და იმაზედ, თუ რამდენათ ვზრუნავთ ჩვენ ამაზედ.

ავიღოთ თუნდა ჩვენი სოფლების სისუფთავე. თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ არც ერთი აქაური სოფელი (ლალისყური, ფშაველი, ნაფარეული და სხვა) მცირედაც არის ყურადღებას არ აქცევს სისუფთავეს, ე. ი. ქუჩებისა და ორღობების, თუ ეზოების დაგვა-დასუფთავებას. გადის, ხშირად, მთელი ათი და ოცი წლები, რომ აქაურ ქუჩებს ცოცხი არ ხვდება და რა იქნება ამის გამო თითონაც კარგად მიხვდება მკითხველი! კეცი კეცზე ეწყობა უსუფთაობისა წლიდამ წელზე და ნიაღვარი თუ გადარეცხს ზოგჯერ მის ზედაპირს აქა იქ, თორემ ჰუჭყი ჰუჭყად რჩება მთელს სოფელში და რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ მოარული სენი კაცისა თუ საქონლისა ყოველწლივ უკლებლივ ესტუმროს აქაურობას?..

აიღეთ ახლა წყალი. კახეთის გაღმა მხარი მდიდარია წყლით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყველა ეს წყლები რუსხმულებით მომდინარეობენ სოფლებზე და აბა მიბრძანეთ თითონ: რა უნდა იყოს ის წყალი, რომელშიაც მთელს დღე-ღამეს დაურიდებლად სტოპავს ძაღლი, კაცი, ფრინველი, ურემი, საქონელი და მეტადრე ეს უკანასკნელი? არ დამავიწყდება შემდეგი სურათი: სოფელში საქონლის ჭირი მძვინვარებს; გაჩერებულია შიგ წყალში მთელი ოცი-ორმოცი სული საქონელი და მთელი საათების განმავლობაში აბინძურებს თავისი ნარჩით და განავლით იმ წყალს, რომელიც ერთად-ერთი წყალია აქ სასმელად და სხვა საჭიროებისათვის! განა, რომ სასიამოვნო სურათი არ არის, მკითხველო, მაგრამ ნამდვილი კია. ყოველდღიური ამბავია აქაურ სოფლებში...

ცხადია, რომ სასმელი წყალი აქ დახურული წყალსადენით უნდა იყოს გამოყვანილი, ცხადია, საით უნდა იყოს მიმართული სათემო საბჭოების თვალი და ზრუნვა, მაგრამ გვითქვამს და ვამბობთ, რომ საბჭოები აქ ვერას გახდებიან თავის-თავად, აქ საჭიროა ამოძრავება და გამოფხიზლება თვით ხალხის მასსისა, საჭიროა მჭიდრო კავშირი თვითეულ სოფლების მეზობლებისა, საჭიროა მათაც ჰქონდეთ საკუთარ კარზე რაიმე სათვითმართველო ორგანიზაცია, რომელიც დღე მუდამ აფხიზლებდეს მათ... მაგრამ სად არის? სათემო საბჭოები შორს არის, ესენი თავიანთ საქმეებსაც ვერ ასდიან და მათზე მიწერილი სოფლები კი კვლავაც უპატრონოდ არიან... თუნდა სულ უბრალო რომ საკუთარი **სათვითმართველო ორგანიზაცია სულ უკანასკნელ სოფელშიაც,**—აი რა უშველის ჩვენს სოფელს, რა გამოაფხიზლებს ჩვენს ხალხს, რა დააყენებს მათ წინ-სვლის გზაზედ!..

**ივანე როსტომაშვილი.**

## ოვანეს თუმანიანის ხსოვნას

1918—19 წელი მგლოვიარე წელიწადი იყო საქართველოში. შოვინიზმით გაძლიერებული დაშნაკური სომხეთი თავს დაეცა მენშევიკურ საქართველოს და უქადიდა მას განადგურებას.

ქართველმა მეომრებმა, მენშევიკების წაქეზებით, ხელში აიღეს ხმალი და ეკვეთნენ მტრებს. ასე ღვრებოდა ტყუილა უბრალოთ ისტორიულ მოძმეთა სისხლი.

მრავალი ჭაბუკი იმსხვერპლა ამ უაზრო ომმა, და მთავარი მიზეზი იყო ლორი, სამშობლო სომხეთის გამოჩენილ პოეტის ოვანეს თუმანიანისა.

ომის დამთავრებისას ტფილისის საზოგადოებამ დიდი პატივით გადუხადა თუმანიანს იუბილე.

მე პირველად ვნახე მგოსანი, როგორც ძველ ნაცნობს, მისალოცავად.

მგოსანი დაფიქრებული იჯდა.

მე მიულოცე იუბილე, მაგრამ მადლობის მაგიერ, მან მძიმეთ ამოიოხრა და წარმოსთქვა:

„ნეტავი მომკვდარიყავი და სომეხ ქართველთა შორის სისხლის ღვრას არ მოვსწრებოდიყავ.“

„რა ვუყოთ, მადლობა ღმერთს, მშვიდობიანათ დამთავრდა. ეხლა ხომ შერიგდნენ!“

„მერე ამდენი მსხვერპლის შემდეგ შერიგებას რაღა გემო აქვს? მერე რისთვის, ღირდა კი სალაპარაკოთ მაინც? მერწმუნე, რომ საქართველოს მთავრობას მე და აქაური სომხების რამოდენიმე მოღვაწე გავეგზავნეთ ლორში, მეტს გავაკეთებდით, ვიდრე ქართველების ჯარი. მთელ კავკასიის ერებში ყველაზე კულტურული ხალხი, ისტორიით მონათესავე, მოწინავე და მიმართეს ბარბაროსულ საშუალებას, იარაღს. ჩემი მუდმივი ვედრება, ჩემი ანდერძი იქნება ის, რომ ეს ორი კულტურული ერი გულწრფელათ დაუმეგობრდნენ ერთმანეთს ჭირში და ლხინშიაც. ვაშა იმ მთავრობას, რომელიც მოსპობს შუღლს ამ ორ ერთა შორის და დაამყარებს ძმობას ერთობას და სიყვარულს ამის მოსწრება იქნება ჩემი საუკეთესო იუბილე, სიხარული. თუ გიყვართ და თაყვანს სცემთ მგოსნებს, გიყვარდეთ მათი ლირაც, რომელიც უმღერს ჰიმნს ერთა სოლიდარობას და ადამიანობას!“

გვახსოვდეს ქართველებს და სომხებს ეს სიტყვები და მის ცხედარის წინაშე კიდევ ერთხელ მოვიგონოთ.

**ქართლელ-იმერელი**

## მოწერილი ამბები

**ქუთაისი.**

— **დრამატიული დასი.** ქუთაისში მოღვაწეობს აკადემიური დასი მსახიობ იუზა ზარდალიშვილის ხელმძღვანელობით და რეჟისორობით. დასმა კარგ პირობებში დაიწყო მუშაობა და საზოგადოებაც მრავლათ ესწრობოდა წარმოდგენებს. რეპერტუარიც მიმზიდველი იყო, შედგებოდა როგორც კლასიკურ აგრეთვე თანამედროვე პიესებიდან. შესრულებაც აღტაცებას იწვევდა საზოგადოების მხრივ. დრო გამოშვებით მონაწილეობას ღებულობდნენ მსახიობნი ვალერიან გუნია, ცაცა ამირაჯიბი და სხ.

საზოგადოება ნაკლები ესწრობა წარმოდგენებს, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მსახიობთ, რომლებმაც ბევრი ამაგი დასდეს, რათა სეზონი ბრწყინვალეთ დასრულებულიყო.

ტფილისიდან მოწვეულია რამოდენიმე გასტროლებისათვის მსახიობ—ქალი ელენე დონაური.

— **მწერალთა კავშირი.** აქაურმა მწერალთა კავშირმაც ხმა ამოიღო. გამოსცეს კიდევაც სალიტერატურო კრებული „კოლხეთი“ № 1. კრებულში განყოფილებებია, როგორც ბელეტრისტიკის, აგრეთვე პოეზიისაც, სადაც მოთავსებულია ნაწარმოები უმთავრესად ადგილობრივ მწერლების. კრებული კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და შინაარსითაც საყურადღებოა.

— **კულტურული მუშაობა ჯარის ნაწილებში.** კულტურული მუშაობა ქუთაისის ჯარის ნაწილებში მიმდინარეობს კარგ პირობებში. არსებობს კლუბი, სადაც სისტემატიურად იმართება წითელ-არმიელთათვის ქართული და რუსული წარმოდგენები, იკითხება მოხსენებები. სხვათა შორის კარგათ ჩატარდა რელიგიის საწინააღმდეგო აგიტაცია, სადაც წითელარმიელებმა და მუშებმაც მიიღეს აქტიური მონაწილეობა.

## მუშათა ცხოვრება.

### საბჭოთა მუშაკების კავშირში

**ქუთაისის განყოფილება.** ქუთაისის საბჭოთა მუშაკების კავშირის განყოფილებაში გაწმენდის შემდეგ წევრად ირიცხება 786 კაცი. აქედან მამაკაცი არის—663, ქალები—123. განყოფილება დრო გამოშვებით იწვევს გაერთიანებულ ყრილობებს, უკანასკნელ ყრილობაზე დასმული იყო საკითხი ცენტრიდან ინსტრუქტორ (ხელმძღვანელის) მოწვევა, რომელსაც დაევალება მაზრის ადგილკომების დათვალიერება. განყოფილებასთან არსებობს 14 ადგილკომები. ქუთაისის განყოფილება მაზრაში აერთიანებს 48 თემს. განყოფილებასთან არსებობს ურთიერთ დამხმარე კასა. სწარმოებს კულტ. მუშაობაც.

**ფოთის განყოფილება.** ფოთის განყოფილებაში ირიცხება 220 წევრი განყოფილებამ მოაწესრიგა სატარიფო საკითხი. კულტმუშაობა კარგად არის დაყენებული. იკითხება ლექციები საყურადღებო თემებზე. კლუბში ეწყობა საღამო-წარმოდგენები.

**ახალ-სენაკის განყოფილება.** ახალ-სენაკის განყოფილებას ჰყავს 383 წევრი. ქალაქში არსებობს 10 ადგილკომი, რაიონში—7 ადგილკომი. კულტ-განყოფილებამ მოახდინა წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა. შრომის დაცვის კანონების გასატარებლად ცხოვრებაში თვალყურს ადევნებს შრომის დაცვის განყოფილება.

**შორაპნის განყოფილება.** შორაპნის განყოფილებაში არის 284 წევრი, განყოფილებამ დაარსა ურთიერთ დამხმარე კასა. მუშათა დაზღვევის საქმე ვერ არის კარგად დაყენებული.

**გორის განყოფილება.** გორის სამაზრო განყოფილებას ჰყავს 192 წევრი. პროფ. მუშაობის გასაცხოველებლად მოხდა ხელახალი არჩევნები პრეზიდიუმის წევრებისა. დაარსებულია უმუშევართა ფონდი. ერთ-ერთ ყრილობაზე წაკითხული იქნა მნიშვნელოვანი ლექცია: „პარტია და პროფკავშირები“.

**ბათომის განყოფილება.** ბათომის განყოფილების წევრთა რიცხვი თან და თან მატულობს, განყოფილებას დღეს უკვე ჰყავს 1576 წევრი. განყოფილება განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს უმუშევართა მიმართ. უმუშევრობა ბათომში ძალიან გამწვავებულია. განყოფილებას ჰყავს 132 უმუშევა-

## ქართველ უდინების საქართველოში გადმოსახლების გამო.

ქართველმა მშრომელმა ხალხმა უკვე იცის, რომ წარსული 1922 წ. უკანასკნელ თვეებში აზერბეიჯანიდან საქართველოში გადმოსახლდა 160 ოჯახამდის და კიდევ უნდა გადმოსახლდეს 60 ოჯახი, ნუხის მაზრაში მცხოვრები ისტორიული, ართველი ერის მონათესავე ხალხის ნაშთი ეგრედ წოდებული ქართველი **უდინები.** რასაკვირველია საჭირო არ არის ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა საძნელო საქმეს წარმოადგენს რამოდენიმე საუკუნობით ნაცხოვრებ ადგილიდან აყრა მთელი თემისა და გადასახლება ასზე მეტი ვერსტის მანძილზედ ისიც დღევანდელ პირობებში მაგრამ უდინების ლტოლვა საქართველოსაკენ იმდენად დიდი იყო, და მათი ნებისყოფა იმდენად მძლავრი, რომ მათ გადალახეს ყოველივე დაბრკოლება და თავისი სანატრელი ოცნება დღეს ფაქტად აქციეს. თითქმის მთელი თავისი ავლა-დიდება: გაშენებული ბაღები, ვენახები, ზოგმა დათესილი მიწებიც, სახლები და სხვა მრავალი ქონება უდინებმა მიატოვეს ძველ ადგილას და ცოტაოდენი მარაგით გამოემგზავრენ საქართველოში. საქართველოში მთავრობამ საცხოვრებლად მათ მიუჩინა თელავის მაზრაში მდინარე ალზანის პირზე საკმაო მიწა და აღმოუჩინა მათ შესაძლებელი დახმარება ფულით და სამეურნეო იარაღით. მაგრამ ყველაფერს მთავრობა რასაკვირველია ვერ შესძლებს. ახლად გადმოსახლებულებს ჯერ არა აქვთ სახლები (ისინი სცხოვრობენ მიწურებში) არა აქვთ საკმაო სამეურნეო იარაღი, ტანთსაცმელი, ოჯახის საჭირო ნივთები, საკვები ხორბალი, არა აქვთ სკოლა და სხვა მრავალი ელემენტარული საჭირო საგნები, რის გამოც ისინი განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას. საჭიროა, რომ ქართველმა მშრომელმა ხალხმა და პატიოსანმა მოქალაქეებმა ყურადღება მიაქციოს თავის თანამემამულეთ, შესაძლებელი დახმარება გაუწიოს მათ.

საჭიროა, რომ ჩვენ გავუმართლოთ უდინებს ის იმედები, რომლითაც ისინი მიეშურებოდენ ჩვენთან. საჭიროა ეს დახმარება გავიღოთ იმ სახით, ვისაც როგორ და რითაც შეუძლია. ამ მიზნით ტფილისში დაარსდა „უდინების დამხმარე საზოგადოება“, რომლის პირველი კრება მოხდა კვირას 25 მარტს.

იუსტიციის ნარკომის, ამხ. ვარძიელის თავმჯდომარეობით უდინების და მათი გადმოსახლების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხ. სილიკაშვილმა, რომელიც მთავრობის რწმუნებული იყო ამ საქმეში წესდების განხილვის და დამტკიცების შემდეგ არჩეულ იქნა გამგეობა 17 პირისაგან: ჟღენტი ლიკაშვილი ალ., კანდელაკი ვასილ, დარახველიძე ალ., გეგეჭკორი ალ., ვარძიელი, ჯავახიშვილი ივ., დადიანი შ., ჩიქოვანი დ., ქებაძე დ , ბერიძე მ. ლეკვიაშვილი შ , ბერიძე მ., ვარაზაშვილი ის., ლორთქიფანიძე ის., ბრეგვაძე ნ. და მაძულია.

ვუსურვებთ ამ ახალ და ფრიად სიმპატიურ საზოგადოებას სრულ წარმატებას და მოუწოდებთ ყოველ შეგნებულ მოქალაქეს ხელი შეუწყოს ამ საზოგადოების მუშაობას.

## ძირს ეკლესიები

მეოცე საუკუნე ბევრი რაიმებით განსხვავდება წარსულ საუკუნებისაგან. ზვერ ქვეყანაში შეიჭრა რევოლიუციის წითელი ქარიშხალი ბოროტებით აგებული წესწყობილების ძირიან-ფუძიანათ განადგურებისათვის ფრთა გაშალა ახალმა აზროვნებამ, ახალმა ცხოვრებამ. მუშათა კლასი დაუღალავად ებრძვის თავის უფლებებისათვის.

დახავსებული ბურჟუაზია კანკალებს განადგურების მოლოდინში.

რუსეთში, საქართველოში და ყველგან, სადაც ძალა-უფლება აქვთ მაშვრალებს, ბურჟუაზიას დაკარგული აქვს ყოველგვარი ძალა და ღონე.

მაშვრალთა, მტკიცე სულით ძლიერი და სალისებული რწმენაზე შეურყეველი ჯარი წინ მიიწევს.. მსოფლიო ბურჟუაზიას უქადის ცეცხლის ალში გახვევას.

ერთი საყურადღებო და მიზან შეწონილი ნაბიჯთაგანია ეკლესიების გაუქმება.

რას წარმოადგენდა ეკლესია და სამღვდელოება??

მსოფლიო ისტორიას ახსოვს ბრძოლები სარწმუნოებისთვის. ახსოვს სამღვდელოების უსაზღვრო გარყვნილებაც.

ბურჟუაზია ყოველნაირ ხერხს ხმარობდა მშრომელი ხალხის დასამონავებლად.

დაბრმავებული განუვითარებელი ხალხი აგებდა ეკლესიებს, სადაც თავს იყრიდა აურაცხელი სიმდიდრე, რითაც სუქდებოდა სამღვდელოება და ლატაკდებოდა ჩაგრული ხალხი.

ნუ თუ დღესაც დასაჯერებელია ის „სასწაულები“ ღვთისა?

ყოველ ასეთ „სასწაულებს“ ახდენდა სამღვდელოება მშრომელი ხალხის დასაბეჩავებლად და თავის არსებობის დღეს შესანარჩუნებლად. ეს ყველასათვის აშკარაა და დღესავით ნათელია.

ეკლესიის მაღალ გუმბათებზე უნდა აფრიალდეს წითელი დროშა, მშრომელი ხალხის მეფობის მაჩვენელი და მისი რწმენის თაიგული.

გაუმარჯოს ღმერთს თავისუფლებისას სიყვარულისას და ადამიანთა გულში წმინდა გრძნობების ჩამნერგავს.

გაუმარჯოს შეგნებას, რომელიც მშრომელი ხალხისათვის მჭრელ იარაღს წარმოადგენს!..

**დ. კობიძე.**

## სხვა და სხვა

**რძის ხე.** დღეს, როდესაც ევროპაში რძის ნაკლებობა ბავშვებისათვის წარმოადგენს ნამდვილ სოციალურ პრობლემას, საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ არსებობს ისეთი ბედნიერი ქვეყანა, რომელიც რძეს ხეებისაგან იღებს. ეს ქვეყანაა **ბრაზილია**, სადაც მრავლათ არის ე. წ. **რძის ხეები**. როდესაც ბრაზილიელ ქალს სჭირდება რძე თავის ბავშვისათვის, ის აიღებს ნაჯახს და ჭურჭელს და გაეშურება მახლობელ რძის ხისაკენ. საკმარისი არის ხის კანის ღრმად ჩაჭრა, რომ ჭურჭელი რამოდენიმე წამში გაივსოს სქელი თეთრი სითხით. ბრაზილიელები ურევენ რძის წვენს წყალს და იღებენ ამრიგათ მეტად გავრცელებულ სასმელს. რძის ხეს კიდევ ერთი თვისება აქვს: მისი კანი წითელ, ფეროსან და ამ ფერის მიღება სულ მარტივი ქიმიურ საშუალებებით არის შესაძლებელი; შემდეგ მატერიების შეღებვისათვის იქნება გამოსადეგი. ამას გარდა რძის ხის ნაყოფი სახითა და გემოთი ვაშლს გავს და მცხოვრებნი ძალიან ეტანებიან.

**კოკაინით შექმნილი საფრთხე.** გერმანულ პრესაში ამ უკანასკნელ ხანებში გაისმის ხმები სოციოლოგებისა და მედიკების, რომლებიც უთითებენ იმ საფრთხეზე, რომელსაც ქმნის კოკაინი თანამედროვე გერმანიისათვის. კოკაინის ყნოსვა თანდათან იღებს სახალხო უბედურების ხასიათს; მედიცინურ საზოგადოებათა კრებებზე მოყავთ დიდძალი მასალები და სტატისტიკური ცნობები, რომლებითაც მტკიცდება, რომ კოკაინის მოხმარება გერმანიაში გაცილებით უფრო საშიში ძოვლენაა, ვიდრე ალკოგოლიზმი. კოკაინისტებს შორის მრავლათ შედიან ვექილები, აქიმები, მოსამართლეები, და სხვა და სხვა პასუხსაგებ თანამდებობის პირნი.

**ბონაპარტების ბიოგრაფოსი.** ამ დღეებში პარიზში გარდაიცვალა ნაპოლეონის და ბონაპარტების მთელი ოჯახის ცნობილი ბიოგრაფოსი—ფრიდრიხ მასსონი, რომელმაც ამ ოჯახის ისტორიის მასალათა დამუშავებას ნახევარ საუკუნე შეალია. მასსონი მეტის მეტად დაწვრილებით სწერდა თითოეულ ბონაპარტის, განსაკუთრებით ნაპოლეონის, ყოველსავე ამბავს. ცნობილ კრიტიკოსის ბრუნეტიერის შეხედულებით, რომელიც მან თავის სახოტბო სიტყვაში გამოითქვა, როცა მასსონს აკადემიაში იღებდნენ, მან პირველმა შეიტანა საფრანგეთის ისტორიო-გრაფიაში ცოცხალი და სურათოვანი მანერა წერისა, ისტორიას ბელლეტრისტიკა შესძინა და ამით მკითხველ საზოგადოებას, რომელიც წინეთ საისტორიო თხზულებებს გაურბოდა, შეაყვარა ეს ისტორიაო.

## ხელოვნება

**სახელმწიფო ოპერის განახლებიდან.**

**„მეფის სასძლო“**, რიმსკი-კორსაკოვის ერთი უკანასკნელ ნაწარმოებთაგანია. დიდებულმა რუსმა კომპოზიტორმა, ამ ოპერაში შესცვალა თავისი შემოქმედების მიმართულება. ორკესტროვკის დიდი ხელოვანი, თავის ოპერის შინაარსისთვის იღებს, როგორც უკანასკნელს ასე სიმფონიას ზღაპრებიდან და ლეგენდებიდან. („სნეგუროჩკა“, „სადკო შეხერეზადა“, „თქმულება ქალაქ კიტეჟზე“ და სხვა) „მეფის სასძლო“-ში შინაარსი აღებულია მეიას დრამიდან, რომელსაც თავის მხრით ეს ისტორიული სიუჟეტი დამუშავებული ჰქონდა იოანე მრისხანეს ეპოქიდან. შინაარსი ასეთია: ვაჭარ სობაკინის ქალი, მშვენიერი მართა (ამ ქალწულის შეუდარებელ სილამაზეზე ნათქვამი აქვთ სხვათა შორის ისტორიკოსს ბოლეარიის, თავისი—მაშინდელი დროის რუსეთის აღწერაში.) დანიშნულია ახალგაზრდა ბოიარინ ივანე ლიკოვზე. მართაზევე შეყვარებულია იოანე მრისხანეს მახლობელი და დიდი კარის კაცი, თავადი რამე მოქეიფე გრიგოლ გრიაზნოი. მართას სილამაზემ გააღვიძა მასში ნამდვილი სიყვარულის გრძნობა და ამავე დროს საშინლათ იტანჯება, ვინაიდან იცის, რომ მართას, ვაჭრის ქალს უყვარს სხვა და მასზედვე დანიშნული. სხვაზედ სიყვარულით ალ-მოდებული გრიაზნოი ივიწყებს თავის საყვარელს ლიუბაშას, რომელიც მას თავისივე ხელით გაუბედურებულ ოჯახიდან ჰყავდა გამოტაცებული. ლიუბაშა გაიგებს თუ ვინ არის მისი მოცილე და ნამუსიდან განწირვით შეიძენს კარის ექიმისაგან საწამლავს და გადასცვლის მალულათ თავისი მეუღლის სიყვარულის ჯადოზე, რომელიც უკანასკნელს იმავე ექიმისაგან ჰქონდა შეძენილი მართას მოჯადოების მიზნით. გრიაზნოიმ არ ცის რასაკვირველია ეს ამბავი და მართასა და ივანეს ნიშნობაზედ მიპატიჟებული თავდავიწყებამდე შეყვარებული გრიაზნოი შეურევს საწამლავს მართას სასმისში. ქალი გულწრფელათ ართმევს საპატიო სტუმრისაგან მიწოდებულ ფიალას და უნებურათ მოიწამლება. იმ ხანებში იოანე მრისხანე მესამე ცოლის შერთვას აპირებდა (მართა სობაკინისა ისტორიულათ მართლა გახლდათ იოანეს მესამე ცოლი, თუმცა მხოლოდ ექვსი კვირა იდედოფლა. დაქორწინების შემდეგ მალე ავათ გახდა და მოკვდა. დამარხულია მოსკოვის მონასტერში. „Новодевичий монастырь“, სადაც უწინ მხოლოდ დედოფალთა სამარხი იყო). იოანე—დასათვალიერებლათ გამოწვეულ ქალთა რიგში თვალს მოჰკრავს მშვენიერ მართას და მოინდომებს მის ცოლათ შერთვას. რასაკვირველია, ლიკოვი, შენიშნული თავისი საყვარელი არსების მოწამლვაში იმ აზრით, რომ იგი მეფემ ისურვა, დაიჭირეს და დასაჯეს. მეფის იოანეს განკარგულებით, ლიკოვი თვით ბოიარინმა გრიაზნოიმ მოჰკლა. მართა თავისი საყვარელი კაცის სიკვდილით შეძრწუნებული ჭკუიდან იშლება. ირკვევა ლიკოვის უბრალოება და ლიუბაშას ჩადენილი საქმე. ლიუბაშა კვდება გრიაზნოის სასტიკი ხელიდან ხოლო თვით მას ჯალათებს გადასცემენ.

ეს რთული დრამა საგანგებო ილიუსტრაციით არის ჩამოსხმული მუსიკაში. ოპერას აქვს შესავალი უვერტიურა. მასში ორი თემაა: ერთი მოძრავი და მეორეც სასიმღერო. საზოგადოთ ოპერა სავსეა მელოდიებით, დუეტებით, კვარტებით ensemble-ი და ხოროსი. ძლიერ კარგია ლიუბაშას სიმღერა პირველ მოქმედებაში, ორკესტრის უაკომპანიმენტოთ a capella. სიმღერა სავსეა სევდა-ნაღველით, ვინაიდან საბრალი ქალი უკვე გრძნობს მოახლოებულ უბედურებას საყვარელი ქალის მისდამი ცივი მოპყრობის გამო.

კარგია პირველ მოქმედებაშივე ხორული ნომრები, რომელთაც მეფის სადიდებლად იმღერიან; ულამაზესია trio-ც, გრიაზნოის, ლიუბაშასი და ექიმ-ბომელიასი. მაგრამ მეორე მოქმედებაში უფრო მეტად შესანიშნავია, თავის საკვირველის მელოდიურობით, მართას გულ-ახდილი მოთხრობა, თავისა და ლიკოვის სასიყვარულო ისტორიაზედ. კარგია კვარტეტი და მთელი სცენა ექიმ ბომელიასა და ლიუბაშას შორის—სავსე რეალიზმითა და განცდით. სამწუხაროდ, მესამე მოქმედებაში, ლიკოვის საუცხოო რომანსი გამოტოვებულ იქნა, ისიც ასეთ მთლიანი დადგმის დროს. კარგი იყო დანიშვნის ღამე. აღსანიშნავია, სამეფო შუამავალის დომნა საბუროვას ამბავი—სამეფო სასძლების დათვალიერების სცენიდან. ამ ამბის თხრობა მეტად ძნელია, თუმცა ქ-ნ მოზოვეცკაიას ეს ეხერხება; მხოლოდ, საბუროვა უნდა იყოს უფრო მეტად მოხუცი.

მაგრამ ყოველივეს სჭარბობს სილამაზიდ უკანასკნელი არია, ჭკუიდან გადამცდარ მეფის სასძლოსი. რამოდენი ნაღველი გამოსჭვივის ამ არიაში და როგორი მელოდიურია!

ამ ოპერაში პირველი გვირგვინი ეკუთვნის ქ-ნ მუხთაროვას. მისი „ლიუბაშა“, ეს ცოცხალი ფიგურაა უსაზღვრო სიყვარულით და უიმედო ოცნებით დამწვარ ქალისა. მთელი სცენა ბომელიასთან, როდესაც ლიუბაშა საწამლავის შეძენის მიზნით იძულებულია დაემორჩილოს ბებრეკ გერმანელ ექიმის ველურ განაჩენს—საგანგებოდ იქნა ჩატარებული. საზოგადოდ მუხთაროვას ქალი შესანიშნავი ლიუბაშაა.

უტყუარ რეალობით და სავსე განცდით ახასიათებს მართას პარტიას, მეფის სასძლოსი ქ-ნი ბოკოვა. განსაკუთრებით კარგად შესრულებული იქნა მსახიობის მიერ უკანასკნელი სცენა. კარგია გრიგოლ გრიაზნოის როლში ბ. ინაშვილი (კარგად იმღერის უკანასკნელ არიას „უბედურო, ტანჯულო მშვიდობით“). მას მეტად სახასიათო გრიმი აქვს ამ როლისთვის. ბ. კავსაძე—ლიკოვის პარტიაში მე არ მაკმაყოფილებს. მომღერალი ვერ აქცევს ყურადღებას მოქმედების განვითარებას. ის იღებს მონაწილეობას, (ისიც პრიმიტიულ გამოსვლით) ხოლო სცენიური მოძრაობა მხოლოდ რეპლიკის დროს ახსენდება. თითქოს ეს მოქმედება მას არც ეხებოდეს: ჰგავდა, თითქოს კავსაძე, რომელიღაც კონცერტზე იმღეროდა. ასეთი თამაში სრულიად აცივებს დრამის განვითარებას. ზედ-გამოჭრილ რუსი ვაჭრის ტიპს იძლევა ბ. შარაშიძე, ვასილი სობაკინის პარტიაში.

კარგად იმღერის ხორო და უფრო უკეთ უკრავს ორკესტრი ბ. ივანე ფალიაშვილის დირიჟორობით.

**ბ. ბებუთოვი.**

**ქართული სტუდია.** ტფილისში არსებობს ქართული დრამატიული სტუდია აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სტუდიით არის დაინტერესებული ქართული საზოგადოება. ეჭვს გარეშეა ყოველ ქართველს, ვინც კი იცის ქართული სტუდიის არსებობა, დაებადება კითხვა: რას წარმოადგენს ეს მეტად მნიშვნელოვანი დაწესებულება ქართველისათვის და ქართულ თეატრისათვის? შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ სტუდიას აქვს მიზნათ დიდი რამ. არსებული სდუდიის მიზანია: რაც შეიძლება მეტი მომზადებული ხელოვანი მისცეს ჩვენს ღარიბ თეატრს; სტუდიას მიზნად აქვს აღორძინოს და ააყვავოს ქართული თეატრი. აიცდინოს თავიდან მას ძალების ნაკლებობა ან და მათი სისუსტე. ამის იმედი კიდევაც აქვს სტუდიას და გწამს, რომ ის ამ იმედს არ უნდა იქნეს მოკლებული, რადგან სტუდიის გარშემო თავი შემოიკრიბა მეტად სასურველმა ახალგაზრდობამ. ნიჭით და ენერგიით სავსე ახალგაზრდობა, ეწაფევის ცოდნის შეძენას, და არას შემთხვევაში ამ სურვილს უკუ არ აგდებს.

მე საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო ის მოვლენაც, რომ სტუდიელთა მთელი შემადგენლობა ქართველ საზოგადოებას უჩვენებს რუსთაველის თეატრში, პიესების მასიურ სცენებში; და არ ყოფილა შემთხვევა, რომ სტუდიელი არ ყოფილიყო თავის სიმაღლეზე. ეს მეტად კარგი მოვლენაა, მაგრამ არ შეიძლება აგრეთვე არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ხსენებული სტუდია არსებობს სრული ერთი წელია და ჯერ მას არ ჰქონია შემთხვევა, ეჩვენებია ქართულ საზოგადოებისათვის სტუდიელთა კოლექტიური მუშაობის შედეგი: ეს კი მეტად სასურველი მოვლენა იქნებოდა სტუდიის ცხოვრებაში.

სტუდიის მეცადინობის საქმე კარგად არის დაყენებული, მაგრამ სამწუხაროდ რეჟისორი კ. მარჯანიშვილი სტუდიის წინ სვლაში არ ღებულობს მხურვალე მონაწილეობას. თუმცა მართალია. კ. მარჯანიშვილი დატვირთულია საქმეებით სხვა და სხვა თეატრებში, მაგრამ მას მარტო ეს არ უნდა აკმაყოფილებდეს. ორი ან სამი საათი კვირაში შეუძლია მან იშოვოს თავისუფალი, რითაც სტუდიაში შეკრებილ ახალგაზრდობას და მომავალ ახალ თეატრს დიდ სამსახურს გაუწევს. აგრეთვე შორს სდგას ალ. წუწუნავაც. სასურველია ამ ერთად ერთმა სტუდიამ საქართველოში, რომელზედაც ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ უფრო მეტი შეგნებით თავის მუშაობისა აჩვენოს ქართულ საზოგადოებას.

**„ბრდღმლი“.**

**მოძღვარი ეკრანზედ.** სახალხო განათლების კომისარიატის ახალი კინო-სურათი „განდევნილი“, რომელიც გადმოკეთებულია ა. ყაზბეგის „მოძღვრიდან“ ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. დიდი მადლობის ღირსია რეჟისორი **ბარხკი**, რომელსაც თქმა არ უნდა დიდი შრომა და ენერგია დასჭირდებოდა, როგორც მოძღვარის, ისე მთიულეთის შესასწავლად. უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა იმ ბუნებრივობისა და წარმტაცი ეფექტების მიღწევა, რომელსაც ადგილი აქვს ამ სურათში. კარგებია ქართული დრამის არტისტები: შ. დადიანი (ონოფრე), იმედაშვილი (გელა), დავითაშვილი (ონისე) და სხვ. დადგმასა და შესრულებასთან ერთად უნდა აღინიშნოს გადაღების მხატვრული მხარეც. დიღმელოვი უსათუოდ მხატვრული გემოვნებისა და ალღოს მატარებელი ფოტოგრაფი-ოპერატორია. საუცხოვოთაა გადაღებული ეფექტიანი სურათები განსაკუთრებით ღამის (ელვა).

ეს სურათი ახალი გამარჯვება და მიღწევაა ჩვენი კინოსექციისა. თქმა არ უნდა სურათი დიდ ინტერესს გამოიწვევს ყველგან: ჩვენშიაც, რუსეთშიაც და ევროპაშიაც.

ძალიან კარგი იქნება, რომ მოძღვარს სთარგმნიდეს ვინმე რუსულად და გამოსცემდეს, როცა იქ დაიწყება ამ სურათის დემონსტრაციები. სურათი ხელს შეუწყობს წიგნის გარცელებას და ამით რუსეთი გაეცნობა ერთ-ერთ ქართველ ბელეტრისტს.

**მსოფლიო თეატრი.** მსოფლიო თეატრის ორგანიზაციის იდეასთან დაკავშირებით, როგორც ა. სტანისლავსკიმ განაცხადა ნიუ-იორკში, შემოდგომაზე კოპენჰაგენში შესდგება რეჟისორების, გამოჩენილ არტისტების და თეატრის მოღვაწეთა მსოფლიო ყრილობა. ყრილობაზე დაწვრილებით იქნება განხილული პროექტი მსოფლიო ინტერნაციონალურ თეატრის დაარსებისა.

**„თანამედროვე მუსიკის ინტერნაციონალური საზოგადოება“.** გასულ წელს ზაფხულში, ქალაქ ზალცბურგში სხვა და სხვა ქვეყნის თავშეყრილ კომპოზიტორების მიერ დაარსებულ იქნა „თანამედროვე მუსიკის ინტერნაციონალური საზოგადოება“. ამ საზოგადოების ცენტრალური პუნქტი იქნება ლონდონში; საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ინგლისელი—ედუარდ დენტი, საზოგადო მოღვაწე მუსიკის სფეროში და მასწავლებელი მთელ რიგ ინგლისელ ახალგაზდა კომპოზიტორებისა. ამა წლის იანვარში ლონდონში შესდგა ამ საზოგადოების დელეგატების პირველი კონფერენცია. მოლაპარაკება სწარმოებდა ოთხ ენაზე: გერმანულზე, ფრანგულზე, ინგლისურზე და იტალიურზე. კონფერენციამ მიიღო ორგანიზაციის სტატუტები და რეზოლიუციები. ეს საზოგადოება ყოველწლიურად გამართავს საზაფხულო დღესასწაულებს, რომელიც დღეს ისევ ზალცბურგშია დანიშნული.

## მთავრობის დეკრეტები და განკარგულებანი

### დეკრეტი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოსი.

მატყლის მონოპოლიის გაუქმების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. ივნისის 7 თარიღითა და მე-3 №-რით გამოცემული დეკრეტით შემოღებული **მონოპოლია** მატყლის ყიდვა—გაყიდვისა, საზღვარ-გარედ გატანისა და რეალიზაციის შესახებ—**გაუქმებულ იქნეს.**

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

**ალ. სალარიძე.**

1923 წ. მარტის 25

ტფილისი—სასახლე.

### ინსტრუქცია.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტისა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად სპეციალური გადასახადის შემოღების შესახებ ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. 10 თებერვლის № 79 დადგენილების განსამარტავად და განსავითარებლად, ამავე დადგენილების მეოთხე მუხლის თანახმად, გამოიცემა შემდეგი ინსტრუქცია:

1. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ დაწესებული დამატებითი გადასახადის აკრეფის გასაადვილებლად შემოღებულია ყველა თეატრების, კინოსი, კლუბების, ცირკების, წარმოდგენების, კონცერტების, საღამოების, კაბარესი და სხ. საჯარო სანახაობათა და გასართობ ადგილებისა და კრებულებათა ფასიან ბილეთებზე ს. ს. ს. რ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მიერ ამა 1923 წ. 9 მარტ. დამტკიცებული სპეციალური მარკები.

2. ბილეთებს—ღირებულებით 100.000 მანეთამდე თან ჩარიცხვით ეკვრება—5000 მან. მარკა, ბილეთებს 200.000 მან.—500.000 მანეთამდ· 20,000 მან. მარკა, ბილეთებს 500,000 მ-დან—1.000,000 მანეთამდე—40,000 მან. მარკა, და ბილეთების ღირებულობის ყოველ მილიონზე—1,000,000 მან. ზევით დაეკვრება—50,000 მან. მარკა, და არა სრული მილიონი ჩაითვლება სრულად, მარკის ღირებულობა უნდა გადახდეს ბილეთების მყიდველს.

3. მარკები უნდა დაეკვრას ბილეთებს ისე, „ს. რომ წარწერა „საქ. წით. ჯვრის სას.“ მოექცეს ქვევით.

4. აღნიშნული მარკები იყიდება რესპუბლიკის ხაზინის ყველა განყოფილებაში.

5. ბილეთებზე მარკების სახით გადასახადის სისწორით აკრეფას კონტროლს უწევენ როგორც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლები, აგრეთვე ხელისუფლების სათანადო ორგანოები.

6. ყველა თეატრის, კინოსი, კლუბების, და ამ ინსტრუქციის 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ ადგილებისა და დაწესებულებათა ადმინისტრაციას, აგრეთვე იმ პირებს, რომელნიც მართავენ საღამოწარმოდგენებს, კონცერტებს, და სხვა, ევალებათ თავის პასუხისმგებლობის ქვეშ გაჰყიდონ ბილეთები საამისოთ დაწესებული მარკებითურთ, ურომლისოთ ბილეთები ჩაითვლება უვარგისათ.

7. მარკები შემოღებული იქნება ქ. თბილისში 1923 წ. 1 ლ აპრილიდან და პრივინციებში კი ხაზინის სათანადო განყოფილებათა მიერ დღიდან მარკების მიღებისა.

8. ამ ინსტრუქციის დარღვევისათვის დამნაშავენი მიცემულ იქნებია პასუხის გებაში, როგორც დამრღვევნი ს. ს. ს. რ. სახ. კომ. საბჭოს 10 თებერ. № 79 დადგენილებისა.

საქარ. წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტ. კომიტეტი.

რედაქტორი—სარედქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 700 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 166. საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.